ოქმი:**ო63. 6324043001**
თარიღი:**12/02/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 6

ქ. სამტრედია. 8 თებერვალი, 2024 წელი.

2024 წლის 8 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

ნუგზარ ჯამბურიამ აღნიშნა, რომ საქართველოში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სტიქიის შედეგად, სოფელ ნერგეეთში, მოხდა საშინელი ტრაგედია, მეწყერის შედეგად დაიღუპა 9 მოქალაქე. ასევე სოფელ ასურეთის მიმდებარედ საჰაერო ბურთის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპნენ ადამიანები. მინდა , დავიწყო სამძიმრით იმ ადამიანების, მათი ოჯახების, მეგობრების და მთელი ქვეყნის მიმართ, რომლებიც გუშინ და გუშინწინ ზემო აჭარაში და ბაღდათში დაიღუპნენ. ღრმა მწუხარებას გამოვხატავ მომხდართან დაკავშირებით, დიდია ჩვენი გულისტკივილი მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელმაც ქვეყანაში დიდი მწუხარება გამოიწვია. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას. (ბიუროს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით გამოხატეს თანაგრძნობა ამ დიდი ტრაგედიის გამო).

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

   Nგ-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.632335923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე"-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'',

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"–ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335927 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

N გ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

10. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

11. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (6 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031109 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსურ აქტივში - სატვირთო ავტომანქანის ხარჯის თანხა მცირდება 100.0 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ შესყიდვას განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერია, საიდანაც 72.6 ათ.ლარით შემცირდა ბიუჯეტი, ხოლო 27. 4 ათ.ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული. ითხოვს სახელფასო დანამატის ხარჯიდან 504 ლარის გადატანას თანამდებობრივი სარგოს მუხლში (დანართი N3).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ

უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031106 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2023 წელში დაგეგმილი იყო ბაღების რემონტი, შესაბამისად გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „უსაფრთხო ქალაქი“ 49 913.0 ლარით და შ.პ.ს. „ჯეოექსპერტი“ 1747.0 ლარით. აღნიშნული სამუშაო ვერ დასრულდა 2023 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება ითხოვს, კრედიტორული დავალიანებით გაზრდას და მოწესრიგებას 2024 წლის ბიუჯეტში, კერძოდ არაფინანსურ აქტივში, არასაცხოვრებელი შენობების თანხის გაზრდას 51.7 ათასი ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031103 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. შემოსავალში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის გეგმის თანხა იზრდება 0.3 ათ.ლარით; ხარჯებში საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 0.3 ათ.ლარით, (დეკემბრის საწვავის ხარჯი 0.3 ათ.ლარი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031105 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხარჯებში შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 4.6 ათ.ლარით და შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 4.6 ათ.ლარით (რაც გამოწვეულია მწვრთნელ-მასწავლებლის ერთი საშტატო ერთეულის შემცირებით).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** №62-6224031108 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა)ი.პ. „საფრენბურთო კლუბი ჯიკო''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2023 წელს საკუთარ შემოსავალში ფაქტიურად შემოსული თანხა 36.7 ათ.ლარი დარჩა აუთვისებელი. საჭიროა აღნიშნული თანხა აისახოს 2024 წლის ბიუჯეტის საკუთარ შემოსავალში, არაფინანსურ აქტივში, არასაცხოვრებელი შენობების მუხლში 12.0 ათ.ლარი, სპორტული ღონისძიებების მუხლში 9.9 ათ.ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში 14.8 ათ.ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031104 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2023 წელს დაგეგმილი იყო გაზის სისტემების მოწყობა-მონტაჟი. შესაბამისად, გაფორმებული იყო ხელშეკრულება ს.ს. „საქორგგაზთან" 4033.23 ლარით. აღნიშნული სამუშაოები ვერ დასრულდა 2023 წელს, დასაკრედიტებელია 2.0 ათ.ლარი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი" -ს ხელმძღვანელი ითხოვს, დამტკიცებულ 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებას. კერძოდ, ხარჯებში არაფინანსურ აქტივში, არასაცხოვრებელი შენობების თანხის გაზრდას 2.0 ათ.ლარით. საკუთარი შემოსავლების მუხლში თანხის გაზრდას 15.0 ათ.ლარით და აღნიშნული თანხით საქონელი და მომსახურეობის ხარჯვით ნაწილში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების გაზრდას N4 დანართის შესაბამისად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031112 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე"-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2023 წლის საკუთარ შემოსავალში აუთვისებელი დარჩა ფაქტიურად შემოსული თანხა 3.4 ათ.ლარი. საჭიროა აღნიშნული თანხა აისახოს 2024 წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ხარჯის მუხლში, საქონელი და მომსახურება 3.4 ათ.ლარი. ასევე ხორციელდება 2024 წლის ბიუჯეტში შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მცირდება თანხა საქონელი და მომსახურების მუხლში 1.1 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა იზრდება 1.1 ათ.ლარით. დანართი N4-ში ითხოვს (შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე"-ს 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი) საშტატო ერთეულის თანამდებობრივი სარგოების მოწესრიგებას,

,,კორესპოდენტსა'' და ,,კორექტორს'' შორის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** №62-6224031107 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 01.01.2024 წლის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლების გასაწევი ხარჯებიდან ნაშთის სახით დარჩა 8.6 ათ.ლარი. შესაბამისად ითხოვს, ცვლილების შეტანას დამტკიცებულ 2024 წლის განკარგულებაში და ზემოთ აღნიშნული თანხის დამატებას და გაზრდას საქონელი და მომსახურების მუხლში 8.6 ათ.ლარით, (სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 3.6 ათ.ლარით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 3.0 ათ.ლარით და რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში 2.0 ათ.ლარით). ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი''-ს საკუთარი შემოსავალი 01.01.2024 წლიდან გაიზარდა 12.9 ათ.ლარით (ზრდა განპირობებულია 2 ბენეფიციარის დამატებით და ასაკობრივი პენსიის ზრდით) და ნაცვლად 52.5 ათ.ლარისა გახდა 65.4 ათ.ლარი. საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 12.9 ათ.ლარით. (კვების ხარჯი 12.9 ათ.ლარი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031110 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის სუბსიდიის შემოსავლის გეგმა იზრდება 2.3 ათ.ლარით. მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 0.6 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივის მუხლში 1.70 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირება 24.5 ათ.ლარით. შესაბამისად საქონელი და მომსახურების გაზრდას. საკუთარი შემოსავალების ნაშთი დარჩა 14.3 ათ.ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 იანვრის*** № 62-6224031101 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის** პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 7 218.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობით შეადგენს - 6 708.6 ათას ლარს , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს - 509.7 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“- პუნქტის „ე.ე“-ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ 62. 62240122 12/01/2024 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილება, კერძოდ გაიზარდა **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 5 965.7 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 470.6 ათასი ლარი მოწესრიგდა არსებული გეგმის ფარგლებში და **კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობით - 742.9 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 39.1 ათასი ლარი მოწესრიგდა არსებული გეგმის ფარგლებში. (იხ. დანართი საქართველოს მთავრობის განკარგულება N2402 28/12/2023) გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 660.0 ათას ლარს, შესაბამისად გაიზარდოს **02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა 660.0 ათასი ლარით. (გეგმა მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის თემებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების მიხედვით).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 იანვრის N56 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოეყო 751.3 ათასი ლარი და შესაბამისად გაიზარდოს **04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის** საქონელი და მომსახურების გეგმა 751.3 ათასი ლარით.

2024 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხება ნაშთი 3,647.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთი შეადგენს 1,403.4 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 2,244.0 ათას ლარს. (მათ

შორის ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება - 327.3 ათასი ლარი; ადგილობრივი კრედიტორული დავალიანება - 181.2 ათასი ლარი; ააიპ-ების კრედიტორული დავალიანება- 83.7 ათასი ლარი, გარდამავალი ნაშთი - 952.8 ათასი ლარი; დასაბრუნებელი მიზნობრივი ტრანსფერი - 4.4 ათასი ლარი და თავისუფალი ნაშთი - 694.6 ათასი ლარი).

აღნიშნულიდან განაწილებულია კრედიტორული დავალიანება მთავრობით სულ - 1,403.4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 327.3 ათასი ლარი, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის N1468 01.08.2018წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 13,4 ათასი ლარით; (2017-2018 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით);

- საქართველოს მთავრობის N2752 31.12.2019წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 0,2 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N27 09.01.2020წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 2.8 ათასი ლარით (სსიპ N8 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის მიმდინარე ხარჯი და ჭოგნარი-ნოღა-ნიგორზღვის საჯ.სკოლის რეაბილიტაცია);

- საქართველოს მთავრობის N2630 18.12.2019წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 0,4 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 0,3 ათ. ლარით;

- საქართველოს მთავრობის N1573 19.08.2020წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 6.5 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N147 04.02.2021წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 1.9 ათასი ლარით (გომის სკოლის წყალმომარაგება);

- საქართველოს მთავრობის N986 25.04.2019წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 3.1 ათასი ლარით და **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 0.8 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N557 15.03.2019წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 02 02 კოდი) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 5,5 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N1329 20.08.2019წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების** გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 1.4 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N2630 18.12.2020წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით

გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 2.7 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N1123 07.02.2020წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 3.2 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N1419 16.08.2021წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით 24.5 ათასი ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 7.3 ათასი ლარით; (**04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 44.0 ათ. ლარით; (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 198.0 ათასი ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 8.1 ათასი ლარით და (**02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 67.1 ათასი ლარი;

- საქართველოს მთავრობის N51 14.01.2022წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 19.2 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N2178 29.11.2022წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 3.9 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N75 17.01.2022წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 4.6 ათასი ლარით და (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 59.7 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N277 15.02.2022წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 0.7 ათასი ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 0.6 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N2475 17.01.2023წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 7.3 ათასი ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 172.7 ათასი ლარით; (**02 02 02 კოდი) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა** ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 2.8 ათასი ლარით და (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 1.5 ათასი ლარით; ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 3.7 ათასი ლარით.

- საქართველოს მთავრობის N116 20.01.2023წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 828.1 ათასი ლარით და (**02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 114.7 ათასი ლარი;

- საქართველოს მთავრობის N1392 04.08.2023წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 22.2 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N2476 29.12.2022წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**02 04 კოდი(სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობის განკარგულებით - 85.0 ათასი ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 6.1 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N147 23.01.2023წ. განკარგულებით დარჩენილი ნაშთით გაიზარდოს (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 6.7 ათასი ლარით;

ასევე, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტორული დავალიანებებით - 36.1 ათასი ლარით გაიზარდოს და მოწესრიგდეს:

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 20.7 ათასი ლარით;

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა - 1.5 ათასი ლარით;

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 9.8 ათასი ლარით;

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 4.1 ათასი ლარით;

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტორული დავალიანებებით - 145.1 ათასი ლარით გაიზარდოს და მოწესრიგდეს:

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 113.1 ათასი ლარით;

- **(02 02 01) კოდი ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა - 1.0 ათასი ლარით;

- **(02 03 03) კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 4.0 ათასი ლარით;

- **(04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 7.6 ათასი ლარით;

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 19.4 ათასი ლარით;

ასევე, გაიზარდოს და მოწესრიგდეს გარდამავალი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოებისთვის საჭირო დაფინანსება სულ - 952.8 ათასი ლარით, კერძოდ:

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 358.5 ათასი ლარით (ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. N4 ბინის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის და მერიის შენობის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის სარეაბილიტაციო, ასევე ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა- 130.0 ათ. ლარი; ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. N2-ის მიმდებარედ (ყოფილი სასტუმროს შენობის მხარეს)

დაზიანებული ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა - 102.0 ათ. ლარი; ქ. სამტრედიაში რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების მიმდებარედ ე.წ. "მომავლის პარკში" გარე გამოყენების ლედ მონიტორის შესყიდვა - 92.7 ათ. ლარი; ქ.სამტრედიაში, კაკაბაძის ქუჩის მიმდებარედ ფანჩატურისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 24.0 ათ. ლარი; მონიტორინგი - 9.8 ათასი ლარი);

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 288.6 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმა - 6.3 ათასი ლარი (ქალაქ სამტრედიაში, ფიროსმანის ქუჩის დასაწყისიდან მ. კოსტავას I-შესახვევის ბოლომდე ახალი კაპიტალური რ/კ ბეტონის მონოლითური არხის მოწყობის სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა **- 124.0** ათ. ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგორზღვაში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო და სახიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანმდევი ექსპერტიზებით შესყიდვა **- 2.0** ათ. ლარი; "სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები - **5.0** ათ. ლარი; "სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები - **20.0** ათ. ლარი; ქ. სამტრედიაში ნინოშვილისა და გურამიშვილის ქუჩებზე არსებული ხიდების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისა და გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. კეთილაურში ფერდობის გასწვრივ ხვრელებიანი ფერდობის სამაგრი რკინა-ბეტონის კედლისა და კედლის გასწვრივ საწრეტი არხის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროეტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანმდევი ექსპერტიზებით შესყიდვა - **23.0** ათ. ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გომნატეხებში და სოფელ დობიროში განვითარებული სტიქიის (მეწყრული მოვლენების) შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა თანმდევი ექსპერტიზებით შესყიდვა - **9.7** ათ. ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტში გზების, არხების, საყრდენი კედლების და ხიდ-ბოგირების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანმდევი ექსპერტიზებით შესყიდვა - **18.4** ათ. ლარი; ს ქალაქ სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩაზე პოლიციის შენობის მიმდებარედ და ლაშა თევზაძის ქუჩაზე კორტების მიმდებარედ სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწოდება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა **- 7.1** ათ. ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ე.წ. „გაღმა ზონის სოფლებში“ (საჯავახოს, ტოლების, ოფეთის, გომის, გორმაღალის და გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულებში) ზამთრის პერიოდში თოვლის გაწმენდის სამუშაოების შესყიდვა - **1.4** ათ. ლარი; მონიტორიგნი - 84.3 ათასი ლარი);

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა - 14.2 ათასი ლარით (სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანმდევი ეექსპერტიზებით შესყიდვა).

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 115.3 ათასი ლარით (ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის N23 ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშოების მრავალწლიანი შესყიდვა, მონიტორინგი - 3.4 ათასი ლარი);

- **(05 07 კოდი) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 147.6 ათ. ლარი (ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქუჩა N19-ში მდებარე N2-ე სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა, მონიტორინგი - 5.3 ათასი ლარი);

- **01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 7.5 ათასი ლარით;

- **(04 02 ზოგადი) განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების**

ზრდის გეგმა - 14.8 ათასი ლარით (მონიტორინგი).

გაიზარდოს და მოწესრიგდეს ა.(ა).ი.პ.-ების კრედიტორული დავალიანებები სულ - 83.7 ათასი ლარით, კერძოდ:

- (03 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრის გეგმა - 27.4 ათასი ლარით;

- (04 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 51.7 ათასი ლარით;

- (05 02 02 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სუბსიდიის გეგმა - 0.6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 1.7 ათასი ლარით (სულ - 2.3 ათასი ლარი);

- (05 01 02 06 კოდი) ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 2.0 ათასი ლარით;

- (06 01 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის სუბსიდიის გეგმა მიზნობრივი ტრანსფერით - 0.3 ათასი ლარით.

გაუნაწილებელი 694.6 ათასი ლარიდან გაიზარდოს და მოწესრიგდეს:

- (02 01 კოდი) **გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 454.1 ათასი ლარით (რგფ მონიტორინგი - 117.9, სამუშაო - 336.2 ათასი ლარი).

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა - 14.7 ათასი ლარი (საპროექტო).

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 22.1 ათასი ლარით (რგფ მონიტორინგი).

- (01 01 02) სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების გეგმა - 59.0 ათასი ლარი;

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების სხვა ხარჯების გეგმა - 28.0 ათასი ლარით (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიასთან დაკავშირებული ხარჯი).

- (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 93.7 ათასი ლარით.

- **(03 03 კოდი) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 23.0 ათასი ლარი;

მუხლობრივი ცვლილებები:

- შემცირდეს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 52.4 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა - 26.1 ათასი ლარით; (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 13.5 ათასი ლარით, (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 5.3 ათასი ლარით და (**02 02 03 კოდი) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 7.5 ათასი ლარით. (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ხარჯი).**

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 600.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- **(03 01 კოდი)** ა.(ა).ი.პ. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** არაფინანსური აქტივების ზრის გეგმა შემცირდეს - 100.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **(03 03 კოდი) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(05 02 02 კოდი)** ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 24.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'',

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

Nგ-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №გ-63.632335923 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335915 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“–ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335927 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25დეკემბრის

N გ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

10. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

11. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2024 წლის

12 თებერვალს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი